სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს,
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ სოფ. გამარჯვებაში, 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსების სკრინინგის განცხადების სრულყოფის მიზნით, შპს „ოლმონტ ინვესთმენთ თბილისმა“ სრულად მოახდინა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიმდინარე წლის 28 ივნისის წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინება. კერძოდ, სკრინინგის ანგარიშში:

- წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების, მოსაწყობი ინფრასტრუქტურისა და შენობა-ნაგებობების შესახებ, გენგეგმაზე დატანით
- წარმოდგენილია ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობისა და მშენებლობის პროცესში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შესახებ
- ინფორმაცია სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისა და განთავსების პირობების შესახებ
- დაზუსტებულია ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენებისა და გამოყენებული წყლის შემდგომი მართვის საკითხები
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და დროებით განთავსების შესახებ
- დაზუსტებულია წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი
- წარმოდგენილია არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შეფასება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ, სოფ. გამარჯვებაში, 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსების სკრინინგის განცხადებას.

დანართები:

- სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია
- საპროექტო ტერიტორიის Shp ფაილები
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან
- შპს „ოლმონტ ინვესთმენთ თბილისის“ დირექტორის მინდობილობა

პატივისცემით,

ნესტორ ბოკუჩავა

შ.პ.ს. „ოლმონტ ინვესთმენთ თბილისის“ დირექტორის
უფლებამოსილი წარმომადგენელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„08“ 08 2023
№ 3368